

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

21.10.2019

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმომადგენელი სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში 2019 წლის სექტემბერი

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმომადგენელი სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 0.8 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე ფასების 0.8 პროცენტიანი, ხოლო ელექტროენერჯის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის ჯგუფზე 1.0 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ადგილობრივი ბაზრისთვის წარმომადგენელი სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი გაიზარდა 10.4 პროცენტით. დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე ფასები გაიზარდა 12.6 პროცენტით, სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამამუშავების პროდუქციის ჯგუფზე 4.6 პროცენტით, ხოლო ელექტროენერჯის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის ჯგუფზე 1.9 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2019 წლის სექტემბერში ადგილობრივი ბაზრისთვის წარმომადგენელი სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილებები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2018 წლის სექტემბერთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	110.4	10.39
C	სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამამუშავების პროდუქცია	104.6	0.21
D	დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია	112.6	9.82
DA	კვების პროდუქტები, სასმელები და თამბაქოს ნაწარმი	114.2	4.83
E	ელექტროენერჯია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი	101.9	0.37

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრის ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

21.10.2019

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის წარმოებულთა ფასების ინდექსი (წინა წლის შესაბამისი თვე = 100)

